ანგარიში 05.06.2025 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური არსებული რესურსის ფარგლებში აქტიურ პოლიტიკას ატარებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით. სამსახური საქმიანობას წარმართავს შემდეგი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება“, „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულება“, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ,,თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“ და სხვა.

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა დახმარების მიზნით მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია. მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ჯანდაცვისა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვს 1 078,1 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა (2024 წ. გეგმა _1 971,1 ათ. ლარი, მიმდინარე წლის გეგმა განისაზღვრა 3 049,2 ათ. ლარით). დიაგრამაზე წარმოდგენილია 2022 წლიდან წლების მიხედვით ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გამოყოფილი და ფაქტიურად დახარჯული თანხები.



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 23 ქვეპროგრამით. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სოციალური მიმართულებით მუშაობს 21 ქვეპროგრამა.

მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დაგეგმილი თანხები შეადგენს ხარჯების 16,6 %-ს.

მერიის მიერ განხორციელებული პროგრამებია:

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და რამდენიმე ქრონიკული დაავადების მედიკამენტის დაფინანსებას. ქვეპროგრამაზე მიმდინარე წელს დაგეგმილია 500,0 ათასი ლარი, თუმცა, მომართვიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანხა არასაკმარისია და საჭირო იქნება დამატებითი თანხის მობილიზება ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სკრინიგისა და სახელმწიფო პროგრამების გაზრდისა ონკოლოგიური მიმართულებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია ონკოპაციენტების მომართვიანობა. გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით წელს 106,3 ათასი ლარით გაზრდილია ამ დროისთვის ხარჯი, მათ შორის, 21.2 ათასი ლარით მეტია მიმართული ონკოპაციენტის დაფინანსებაზე. სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამით გასულ წელს ისარგებლა 1221 მოქალაქემ, მიმდინარე წლის 5 თვეში _ 495 მოქალაქემ.

06 03 03 შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას და ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას. კოხლეარული იმპლანტის ელემენტით ყოველწლიურად სარგებლობს 3 არასრულწლოვანი, მომვლელის დახმარებით მიმდინარე წელს მოსარგებლეა 60 შშმ პირი. ყოველთვიური დახმარება 2024 წელს გაიზარდა 70 ლარამდე. ასევე, გაზარდილია შშმ ბავშვთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 1400 ლარამდე.

06 03 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ქვეპროგრამის განსახორციელებლად მიმდინარე წელს უპრეცედენტო დახმარება_ 1,0 მლნ ლარია გათვალისწინებულია, 620,0 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გასელ წელს. ქვეპროგრამით 5 თვეში უკვე დახარჯულია 422,6 ათასი ლარი.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს ყოველთვიურად ერიცხება 200 ლარი, იგეგმება დახმარების გაზრდა 250 ლარამდე. დიალიზის პროგრამაში დღეის მდგომარეობით ჩართულია 16 მოქალაქე. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით და მოსარგებლეა 4 ბენეფიციარი.

06 03 06 მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებით სარგებლობს ოჯახი, რომელსაც ყავს 4 და მეტი შვილი. დახმარება თითოეულ ბავშვზე განისაზღვრება 100 ლარით. გასულ წელს მოსარგებლე იყო 62 მრავალშვილიანი ოჯახი, 5 თვის მონაცემებით უკვე ისარგებლა 44 ოჯახმა.

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამით გასული წლიდან ყოველთვიური დახმარების თანხა 50 ლარიდან გაიზარდა 70 ლარამდე. ქვეპროგრამით გასულ წელს სარგებლობდა 21 მარტოხელა მშობელი, მიმდინარე წელს სარგებლობს _ 24 ბენეფიციარი.

06 03 08 მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება. დახმარების მიმღებია დედით ან მამით ობოლი ან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული 21 წლამდე ასაკის პირი.

ქვეპროგრამით წინა წლებში დახმარება გაიწეოდა ერთჯერადად. ამჟამად დახმარება გაიწევა ყოველთვიურად, ბენეფიციარზე 50 ლარის ოდენობით. გასულ წელს ქვეპროგრამით სარგებლობდა 56 ბენეფიციარი, მიმდინარე წელს სარგებლობს 46 ბენეფიციარი.

06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიარები არიან უსინათლოები და დევნილები. გასული წლიდან დახმარება განსაზღვრულია თვეში 70 ლარით. ამჟამად მოსარგებლეა 96 მოქალაქე.

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება ,,ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი. ქვეპროგრამით სარგებლობს აგრეთვე 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის 1 ოჯახი.

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქე. დახმარება განისაზღვრება 1000 ლარით. საანგარიშო პერიოდში გვყავს 4 ბენეფიარი.

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება. დახმარება მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. დახმარება გაიწევა ქვეპროგრამით დადგენილ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებსა და დღესასწაულის დღეებში სხვა მოწყვლად ჯგუფზე. ქვეპროგრამით სისტემატურად მოსარგებლეა 19 ბენეფიციარი, სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით დახმარება გაცემულია 1200 ოჯახზე.

06 03 13 სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; დახმარების მიმღებია 65000 სარეიტინგო ქულამდე გარდაცვლილის ოჯახი. დახმარება განისაზღვრება 250 ლარით. ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 36 ოჯახმა.

06 03 15 ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში_150 ლარს, მესამე_200 ლარს, მეოთხე_250 ლარს, მეხუთე_300 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. გასულ წელს 106 ახალშობილის ოჯახზე გაიწია დახმარება, მიმდინარე წელს კი 5 თვეში დაკმაყოფილებულია 38 განცხადება.

06 03 16 ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა. დაკრძალვის ხარჯი შეადგენს 250 ლარს და ამ მიმართულებით მიმდინარე წელს ხარჯი არ გაწეულა. გასულ წელს შემოვიდა 2 განცხადება.

06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას, უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებლით (ბინის ქირით) უზრუნველყოფას. გასულ წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 16 მოქალაქეს, ამ ეტაპზე მოსარგებლეა 14 პირი, აქედან, უსახლკაროა 9 ოჯახი, ხოლო მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები 5 ოჯახი. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის კონტროლს დაქვემდებარებული უწყების _ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გასული წლიდან ხდება მომეტებული საფრთხის ქვეშ მყოფი ოჯახების ბინის ქირით დაკმაყოფილება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი 13 ოჯახი ამჟამად სარგებლობს აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით. მერიაში, შესაბამისი კომისიის მიერ მინიჭებული კატეგორიების შესაბამისად, 2024 წელს სტიქიის შედეგად

დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა კატეგორიის 190 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, ასევე, გასულ წელს, მთავრობის განკარგულებით, გამოყოფილი სახსრებით შეძენილი იქნა თუნუქისა და ხის მასალა, რაც მიიმართა ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებული 135 ოჯახის დასახმარებლად. სულ 2024 წ. ქვეპროგრამით დაიხარჯა 626,4 ათასი ლარი. ხოლო მიმდინარე წელს ქვეპროგრამით 5 თვეში დაიხარჯა 74,8 ათასი ლარი. ფინანსური დახმარება გაიწია 54 ოჯახზე, მათ შორის, პირველი კატეგორია - 3 ოჯახი, მეორე კატეგორია - 45 ოჯახი, მესამე კატეგორია - 6 ოჯახი.

06 03 18 უფასო სასადილოს დაფინანსება გასულ წელთან შედარებით 31,3 ათასი ლარით მეტი, ანუ 281,3 ათ. ლარი დაიგეგმა. სათნოების სახლი ემსახურება 160 ბენეფიციარს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე.

06 03 20 გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა. ქვეპროგრამა მოიცავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოქალაქემ ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. გასული წლის განმავლობაში განხილული იქნა 36 განცხადება, მიმდინარე წელს უკვე განხილულია 15 განაცხადი და გაიწია შესაბამისი დახმარება.

06 03 21 ომისა და სამხედრო ძალების დახმარების ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. ქვეპროგრამაზე როგორც გასულ, ასევ მიმდინარე წელსაც გამოყოფილია 20.0 ათასი ლარი. საშუალოდ ქვეპროგრამის მოსარგებლა 75 ვეტერანი.

06 03 22 არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ბავშვიან ოჯახებთან, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით საჭიროებენ გაძლიერებას. ქვეპროგრამა წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას, მიტოვების პრევენციას, კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას. ქვეპროგრამით გასულ წელს განხილული და დაკმაყოფილებული იქნა 39 განცხადება. მიმდინარე წელს მოკვლეულია 19 ოჯახი, რომელიც მოიცავს 31 არასრულწლოვანს, სოც მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე შექმნილია ინდივიდუალური ქეისი. განყოფილების მულტიპროფილური გუნდის მსჯელობის შედეგად კონკრეტული მდგომარეობის მიხედვით დგინდება გასაწევი დახმარების ფორმა და მოცულობა. პერიოდულად ხდება მონიტორინგი სამიზნე ოჯახებთან, რათა მომავალში სწორად განისაზღვროს ისეთი მომსახურებები, რომელსაც ბენეფიციარები საჭიროებენ. მიმდინარე წელს არასრულწლოვანთა მხარდაჭერის პროგრამას დაემატა პოზიტიური მშობლობის ქვეპროგრამა, რომელიც განყოფილების სპეციალისტების მუშაობის პროცესში გამოვლენილ საჭიროებებზე დადგინდა. კერძოდ, აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია მშობლებისთვის პოზიტიური უნარების განვითარება ბავშვის აღზრდის კომპონენტში. პროგრამის ფარგლებში მოწყვლად მშობლებთან იმუშავებს ფსიქოლოგი.

სამომავლოდ, გამოკვეთილ საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური საცხოვრისის შექმნა, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას.

მულტიპროფილური გუნდის ინიციატივით პერიოდულად ხორციელდება საქველმოქმედო აქტივობები, რომლის ფარგლებშიც საჭიროების მიხედვით ბენეფიციარებს მიეწოდებათ სეზონურ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სხვა საჭირო ნივთები, საკანცელარიო მასალა და განმავითარებელი

რესურსი. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესათან დაკავშირებით ყოველწლიურად ეწყობა ღონისძიება ბავშვებისთვის, სადაც ანიმატორები წარმოადგენენ გასართობ შოუ ბავშვებისთვის.

- მესამე წელია, ვთანამშრომლობთ საქართველოს წითელ ჯვართან, რომელიც ახორციელებს არაერთ აქტივობას, საბავშვო სასაჩუქრე პაკეტები ყოველწლიურად გადაეცემა მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ პირებს, მიმდინარე წელს დიდთოვლობისას დაზარალებულ პირებს გადაეცათ სასაჩუქრე ვაუჩერები, რომლის განაღდებაც შეეძლოთ კვებისა და სააფთიაქო ქსელებში.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის სოციალურ პროგრამებზე 2023 წელს გამოყოფილი იქნა 27 868 ლარი, გასული წლის განმავლობაში _ 59 423 ლარი, მიმდინარე წელს დღემდე გამოყოფილია 67 888 ლარი. მათ შორის, დიდთოვლობისას მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სურსათის შესაძენად 25,5 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას. წარმატებით ხორციელდება გეგმიური ვაქცინაციის პროცესი და ეპიდზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში მონიტორინგი მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. სჯც ანხორციელებს C ჰეპატიტსა და შიდსზე სწრაფ ტესტირებას და ც ჰეპატიტზე სკრინინგ დადებითი პირების შემდგომი კვლევის, მკურნალობაში ჩართვისა და მიდევნების პროგრამას. იანვრიდან შეძენილია 700-ზე მეტი ტესტი შიდსისა და ც ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის მიზნით. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინიგის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, სკრინინგის მსურველი ბენეფიციარების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამსახური. მიმდინარე წელს სკრინინგ პროგრამით ისარგებლა 38 მოქალაქემ. ინტერნეტ გვერდის მეშვეობით საზოგადოებას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა დაავადების, აქტუალური სამედიცინო თემებისა და ზოგადად პრევენციული ღონისძიებების შესახებ.
- მოქალაქეებს სამსახურის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში გაეწევათ კონსულტაცია როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური პროგრამებით გათვალისწინებულ მომსახურებაზე.
- სამსახური თანამშრომლობს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, გაიწევა კონსულტაციები ვეტერანებისთვის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, ხდება მათი დახმარება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში.
- სამსახურის მიერ გრძელდება ეკომიგრანტი ოჯახების ადგილობრივ დონეზე მომსახურება.
- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიერ მომზადებული გეოლოგიური შეფასების დასკვნები მოქალაქეს ეცნობება წერილობით.
- მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი კობა ლურსმანაშვილის ბრძანებით, მერიაში მოქმედებს სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისია. კომისიას ხელმძღვანელობს მერის პირველი მოადგილე, ბატონი ვარლამ ჭიპაშვილი, რომელიც აქტიურადაა ჩართული სამუშაო პროცესში, დაუყოვნებლივ ხდება განხილვა და რეაგირება სასწრაფო და მნიშვნელოვან საკითხებზე. ვთანამშრომლობთ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. სამსახურის თანამშრომლები აქტიურ მუშაობას ეწევიან სხვადასხვა კომისიის და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, კომპეტენციის ფარგლებში ვთანამშრომლობთ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან.